ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 149
(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

ქ. ბათუმი 13.06.2018 წელი

ერთი მხრივ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ჯემალ გვეტაძის სახით და მეორე მხრივ შპს "პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE" (შემდგომში მიმწოდებელი) ს/კ 445427119 ანგარიშის ნომერი GE13PC0193600100011836 (MIBGGE22, სს „პროკრედიტ ბანკი") წარმოდგენილი დირექტორის სალომე კიკვაძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

მომწოდებელი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ამა წლის 30 ივნისისა შემსყიდველს აწვდის 30 შეკვრა A4 ფაილს, ერთი შეკვრის ფასი 5,80 (CPV **22852100** - ფაილები).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 174 ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
2.3. დაფინანსების წყარო -სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.
3.2 საქონლის მიღება განხორციელდება, ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულებისა და რაოდენობის მითითებით გაფორმებული სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.
3.3. საქონლის მიწოდების ადგილია ქ.ბათუმი მ.აბაშიძის ქ.N41.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება სასაქონლო ზედნადების შესაბამისად 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომელი მეურნე რიხარდ გიორგაძე.

6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
6.2. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.
6.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
6.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ასევე დასტურდება, რომ შემსყიდველის წარმომადგენელს (ჯემალ გვეტაძე) არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი მომწოდებელთან.

7. მხარეთა ხელმოწერები

---	---
შემსყიდველი	მიმწოდებელი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

13 ივნისი 2018 წ

ქ. ბათუმი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, მე ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ არ გამაჩნია ინტერესთა კონფლიქტი შპს "პროვაიდერ.ჯი-PROVIDER.GE"-სთან.

მაუწყებლის მეურნე

რიხარდ გიორგაძე